



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი მ. კოსტავას ქ. №25 საქართველო

ტელ: + (995 32) 98 39 98
+ (995 32) 95 45 59

ფაქსი: + (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge

International Society For Fair Elections and Democracy (ISFED)

Address: 25 Kostava St., 0108 Tbilisi, Georgia

Tel: + (995 32) 98 39 98
+ (995 32) 95 45 59

Fax: + (995 32) 98 98 24

E-mail: info@isfed.ge
website: www.isfed.ge

რეგიონული ოფისები

თბილისი 0108

მ. კოსტავას ქ. №25

ტელ: + (995 32) 98 39 98
+ (995 32) 95 45 59

ფაქსი: + (995 32) 98 98 24

E-mail: tbilisi@isfed.ge

გურჯაანი 1500

ი. ნონეშვილის ქ. №3

ტელ/ფაქსი: (8 253) 2 11 77

E-mail: gurjaani@isfed.ge

ქუთაისი 4600

მ. კოსტავას ქ. №3

ტელ/ფაქსი: (8 231) 4 41 12

E-mail: kutaisi@isfed.ge

ბათუმი 6000

კ. გორგასაძის ქ. №97

ტელ/ფაქსი: (8 222) 3 22 42

E-mail: isfed_batumi@posta.ge

განცხადება

“სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” (“სამართლიანი არჩევნები”) წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დიდ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას საქართველოში. იგი 1995 წლიდან აკვირდება ქვეყანაში ჩატარებულ ყველა არჩევნებს. “სამართლიანი არჩევნები” განახორციელებს 2008 წლის 5 იანვრის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების ფართომასშტაბიან მონიტორინგს. ეს მოიცავს:

- წინასაარჩევნო პერიოდის;
- არჩევნების დღის და
- არჩევნების შემდგომი პროცედურების მონიტორინგს.

წინასაარჩევნო მონიტორინგი

“სამართლიანი არჩევნების” ცენტრალური და რეგიონული ოფისები, ისევე როგორც რაიონული წარმომადგენლები, აკვირდებიან საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პროცესს ყველა დონეზე, ესწრებიან ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომებს, აკვირდებიან წინასაარჩევნო ღონისძიებების შესრულებას. გარდა ამისა “სამართლიანი არჩევნები” მონიტორინგს უწევს ამომრჩეველთა სიების დაზუსტების პროცესს და თანმიმდევრულად გამოსცემს ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს “საარჩევნო სიახლენი”.

“სამართლიანი არჩევნები” ასევე აკვირდება საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კანონით დადგენილი ვადების დაცვას. ის მონიტორინგს უწევს საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ წარმოებულ საარჩევნო კამპანიებს და ხმების მოსაპოვებლად გამოყენებულ მეთოდებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სახელმწიფო რესურსების გამოყენებას. შესაბამისი ინფორმაცია წინასაარჩევნო დაკვირვების შესახებ საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ყოველკვირეულ ბრიფინგებზე.

არჩევნების დღის მონიტორინგი

“სამართლიანი არჩევნების” სადამკვირვებლო მისია მოიცავს დაფარავს 75 საარჩევნო ოლქის უბანთა უმრავლესობას. 2008 წლის 5 იანვარს “სამართლიანი არჩევნები” მიუკერძოებელ დამკვირვებლებს მიაგვლენს საარჩევნო უბნებზე, საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში. პარალელურად, ჩამოყალიბდება მობილური ჯგუფები სხვადასხვა საარჩევნო უბნიდან უახლესი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. მათი ფუნქცია ასევე იქნება, რეაგირება კრიტიკულ სიტუაციებზე, თუ ასეთი შეიქმნა საარჩევნო უბნებზე.

არჩევნების დღეს ორგანიზაცია გაავრცელებს ინფორმაციას კენჭისყრის მიმდინარეობისა და მოცემული დროისათვის გამოვლენილი დარღვევების, თუ ასეთი დაფიქსირდა, შესახებ.

“სამართლიანი არჩევნები” არჩევნების დღეს განახორციელებს ხმების პარალელურ დათვლას. PVT ცენტრში ოპერატორები მიიღებენ და სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამაში შეიყვანენ დამკვირვებლებისაგან მოწოდებულ ინფორმაციას. აღნიშნული ცენტრი იმუშავებს მთელი ღამის განმავლობაში, არჩევნების მომდევნო დღეს კი ორგანიზაცია გამოაცხადებს ხმების პარალელური დათვლის შედეგებს.

არჩევნების შემდგომი პროცედურები

არჩევნების შემდგომი დღიდან “სამართლიანი არჩევნები” მონიტორინგს გაუწევს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს. ასევე დააკვირდება საჩივრების განხილვის, მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრებისა და ვადების დაცვის საკითხებს.

მოგვიანებით ორგანიზაცია მოამზადებს სრულ ანგარიშს 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ, რომელიც მოიცავს რეკომენდაციებს საარჩევნო პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

“სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” (ISFED) მიუკერძოებელი, არასამთავრობო, არამომკვებინი ორგანიზაციაა, რომელიც დაარსდა 1995 წელს. “სამართლიანი არჩევნების” სადამკვირვებლო საქმიანობა მიზნად ისახავს არჩევნების გამჭვირვალობის, საარჩევნო პროცედურების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფასა და არჩევნების შედეგებისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცებას. ორგანიზაციამ განახორციელა მონიტორინგი 1995 წლიდან ქვეყანაში ჩატარებულ ყველა ძირითად არჩევნებზე და ხმების პარალელური დათვლა (PVT) ბოლო 4 უმნიშვნელოვანეს არჩევნებზე.